ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

# ბრძანება №02-02/282

ქ. თბილისი 18. 12. .2013

## 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ამავე უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურის უფროსის ემილ კოპალიანის მოხსენებითი ბარათის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომის (ოქმი №13) დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი განისაზღვროს 19 კვირით (15 კვირა – სააუდიტორიო მუშაობისათვის);
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 2014 წლის 3-დან 23 თებერვლამდე;
3. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 2014 წლის 24 თებერვლიდან და გაგრძელდეს 15 ივნისამდე;
4. სააღდგომო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2014 წლის 14-დან 22 აპრილამდე;
5. შუალედური გამოცდებისათვის (ყველა სასწავლო დისციპლინაში) დადგინდეს შემდეგი ვადები:
   ა/ პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-6 კვირაში (2014 წლის 31 მარტი – 5 აპრილი);

საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-7 კვირაში (2014 წლის 7 – 12 აპრილი);

ბ/ მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-11 კვირაში (2014 წლის 12 – 17 მაისი);

საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-12 კვირაში (2014 წლის 19– 24 მაისი);

6. 2013 – 2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი საგამოცდო სესია ჩატარდეს მე-16 – მე-19 კვირებში (2014 წლის 16 ივნისი - 12 ივლისი);
7. განმეორებითი დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2014 წლის 23 - 28 ივლისს;
8. საზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2014 წლის 14 ივლისიდან 15 სექტემბრამდე;
9. ყოველი გამოცდის დასრულებისთანავე გაფორმებული საგამოცდო უწყისები ჩაბარდეს დეკანატს და ასლი გადაეცეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა (ბ-ნი ნ. პავლიაშვილი) და საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურებს (ბ-ნი ე. კოპალიანი);
11. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;
12. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე